საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის ჩვიდმეტ ივლისს მე, გალინა მუმლაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №9, მომმართა **ამირან ჯიბლაძემ.** მან განაცხადა, რომ სურს განცხადების შედგენა და მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და ვადასტურებ, რომ მე ნამდვილად **ამირან ჯიბლაძემ** (დაბ. 12.04.1971წ. რეგ. თბილისი, თევდორე მღვდლის 24, პირადი №01030035794) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე ის, რომ **ნოტარიუსი აღნიშნული დოკუმენტის დამოწმებისას ადასტურებს, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა ხელმომწერს ეკუთვნის, ნოტარიუსი პასუხს არ აგებს მოყვანილი ფაქტების ნამდვილობაზე.** რის შემდეგაც ხელმომწერმა წაიკითხა წინამდებარე ტექსტი და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, პროექტის შედგენის ერთი ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილებისა №507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31-ე და 39-ე მუხლებისა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, **ამირან ჯიბლაძე, როგორც შ.პ.ს. « ავრორა 95 » (ს/კ №204874458) –ის ხელმძღვანელი** თანახმა ვარ, რომ **შ.პ.ს. “ალტა” (ს/კ №211380691)-მ, შ.პ.ს. « ავრორა 95 » (ს/კ №204874458) -ის** კუთვნილი ფართის, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №16-ის** ფასადზე შეცვალოს და განათავსოს ნებისმიერი ფორმისა და ზომის სარეკლამო ბანერი და აბრა.

აღნიშნული თანხმობა გამოხატავს ჩემს ნებას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

ნოტარიუსი

საქართველო. ნოტარიუსი გალინა მუმლაძე
GEORGIA. NOTARY GALINA MUMLADZE
01006001102

გალინა მუმლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130723650 
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**გალინა მუმლაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი. გურამიშვილის გამზირი # 9
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 99 14 43 43
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	75510589079513 

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18